პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 250 (5280)

1974 წ. 18 დეკემბერი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1974 წლის 16 დეკემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვის მოხსენება „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ამხ. ვ. თ. გარბუზოვის მოხსენება „სსრ კავშირის 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

ამ საკითხებზე გამართულ კამათში გამოვიდნენ: ამხანაგები ვ. ვ. შჩერბიცკი — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დ. ა. კუნაევი — ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, შ. რ. რაშიდოვი — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ი. გ. კებინი — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გ. ი. არისტოვი — სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ჯ. რასულოვი — ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ვ. ვიქტოროვი — პირველი სახელმწიფო საკისრის ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირი, ქალაქი მოსკოვი, ე. ა. შევარდნაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ლ. ა. კოსტანდოვი — სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის მინისტრი, ვ. პ. ლომაკინი — სკკპ ზღვისპირეთის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, ი. პ. რიაბოვი — სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. პ. ლოცმანოვა — ყაზანის ელექტრონული გამოსათვლელი მანქანების ქარხნის მემონტაჟე, ს. თ. ანტონოვი — სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი.

დასასრულ პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამ საკითხებზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა ამხ. პ. ნ. დემიჩევი გაათავისუფლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

## დაწესდა „ლელოს“ პრიზი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი წინადადებით შევიდა საკავშირო სპორტკომიტეტში, რათა დაწესდეს რესპუბლიკური სპორტული გაზეთის „ლელოს“ სპეციალური პრიზი კალათბურთელთა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატებში საუკეთესო სნაიპერის დასაჯილდოებლად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა მოიწონა ეს ინიციატივა და დაადგინა ამიერიდან დაწესდეს „ლელოს“ სპეციალური პრიზი ყველაზე უფრო შედეგიანი კალათბურთელის დასაჯილდოებლად. პრიზი ინდივიდუალურია და ყოველ წელს გადაეცემა საუკეთესო სნაიპერს. საკავშირო სპორტკომიტეტი აღნიშნავს, რომ ამ პრიზის დაწესება ხელს შეუწყობს კალათბურთელთა ტექნიკური და ტაქტიკური ოსტატობის ამაღლებას, აგრეთვე, კვალიფიციური რეზერვების აღზრდას სსრ კავშირის ნაკრები გუნდისთვის.





სსრ კავშირის ჩემპიონატი

## გადაუჭრელი პრობლემა „სპარტაკმა“ ლიდერობა დაიბრუნა

მან დაიბრუნა თავისი „ტიტული“, თუმცალა დაკარგული ქულებით იგი მაინც ჩამორჩება თბილისელებს.

მინსკის რტი-სთან ნევისპირელთა ორთაბრძოლა დამთავრდა ანგარიშით 86:72. ეს იყო „სპარტაკის“ მეთერთმეტე გამარჯვება ამ ჩემპიონატში.

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

**ტარტუ.** დრამატულად წარიმართა „კალევისთვის“ განმეორებითი მატჩი კიევის „სტროიტელთან“. პირველ წუთებზე მასპინძლები დაწინაურდნენ, მაგრამ უკრაინელმა კალათბურთელებმა მალე ხელთ იგდეს ინიციატივა. საქმე ისაა, რომ „კალევმა“ ვერაფრით ვერ გადაჭრა ს. კოვალენკოს პრობლემა. იგი განუკითხავად ბატონობდა ორთავე ფარზე და ეს იყო „სტროიტელის“ თამაშის მთავარი სტიმული.

სტუმრებმა ტაიმი 14 ქულით მოიგეს (49:35). შესვენების შემდეგ „კალევმა“ ყველაფერი იღონა მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ ის მოახერხა მხოლოდ, რომ სხვაობა 5 ქულამდე შეამცირა. „სტროიტელმა“ როგორც იქნა მესამე ქულა ჩაიწერა სატურნირო ცხრილში — 71:66.

**მინსკი.** ლენინგრადის „სპარტაკმა“ მხოლოდ ერთი დღით გადასცა ლიდერის უფლებამოსილება თბილისის „დინამოს“. გუშინწინ

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 13 | 11 | 2 | 1131—946 | 11 |
| „დინ.“ (თბ.) | 12 | 11 | 1 | 1075—987 | 11 |
| ცსკა | 12 | 9 | 3 | 1118—968 | 9 |
| „დინ.“ (მ.) | 12 | 9 | 3 | 1031—899 | 9 |
| „ქალგირ.“ | 12 | 8 | 4 | 1035—1002 | 8 |
| „კალევი“ | 12 | 5 | 7 | 965—955 | 5 |
| „სტროიტ.“ | 10 | 3 | 7 | 806—848 | 3 |
| „სტატიბა“ | 12 | 2 | 10 | 947—1097 | 2 |
| რტი | 13 | 2 | 11 | 1021—1185 | 2 |
| „ურალმაში“ | 14 | 1 | 13 | 1110—1352 | 1 |

ცსკა-სა და ლენინგრადის „სპარტაკის“ შეხვედრები ჩვენი საკალათბურთო ცხოვრების ჭეშმარიტი ზეიმია მუდამ. სამწუხაროდ, ამ ზეიმს მოსკოვში, როგორც წესი, მაყურებლების უმნიშვნელო რაოდენობა ესწრება, ვინაიდან არმიელთა ძალოსნობის დარბაზში (სადაც ეს მატჩები ტარდება) სულ ათასამდე ადგილია. აი, ლენინგრადში კი, ყოველ კალენდარულ შეხვედრაზე სპორტის სასახლე „იუბილეინიში“, 8 ათასზე მეტი კალათბურთის გულშემატკივარი მიდის.

საბჭოთა კალათბურთის ლიდერების შეხვედრათა პირველმა ციკლმა უძლიერესი ვერ გამოავლინა. ერთი შეხვედრა „სპარტაკმა“ მოიგო, ერთი — ცსკა-მ. მაგრამ ლენინგრადელთა მდგომარეობა ოდნავ უკეთესია იმიტომ, რომ ისინი სტუმრად თამაშობდნენ, ახლა მათ წინ ელით საპასუხო შეხვედრები.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: მოსკოვის პირველი მატჩის ერთი ფრაგმენტი.

ა. ბორისოვის ფოტო.





## ტურნირის ფინიში

გუშინწინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ დაიხურა გამოჩენილი ქართველი მოჭადრაკის ვ. გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი III საერთაშორისო ტურნირი.

საღამო გახსნა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ჩიკვაიძემ.

შემოქმედებითი სპორტულ და შემოქმედებითი შედეგებზე ილაპარაკა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა თ. გიორგაძემ.

მერე მონაწილეებს გადაეცათ დედაქალაქის სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დაწესებული სპეციალური ჯილდოები. ნ. გაფრინდაშვილმა მიიღო ჯილდო პირველ ხუთ ტურში საუკეთესო შედეგებისთვის (3,5 ქულა), თ. გიორგაძემ — საერთაშორისო დიდოსტატის ბალის შესრულებისთვის, ბ. გურგენიძემ — საუკეთესო პარტიისთვის (ა. ტუზოვსკისთან), ვ. ჩოკილტიამ — დიდოსტატებთან საუკეთესო შედეგისთვის (2 ქულა 3-დან), გ. სიგურიონსონმა (ისლანდია) და ე. გუფელდმა გამარჯვებათა სერიისთვის (მათ ზედიზედ სამი პარტია მოიგეს). რ. კინს გადაეცა სამახსოვრო საჩუქარი, როგორც პირველ ინგლისელ ოსტატს, რომელმაც საქართველოს ტურნირში მიიღო მონაწილეობა.

მონაწილეთა სახელით სიტყვით გამოვიდნენ ე. გუფელდი და რ. კინი. ინგლისელმა ოსტატმა თქვა:

— პირველად ვარ საქართველოში და მოვიხიბლე მისი სილამაზით და ჭადრაკისადმი დიდი სიყვარულით. ჭეშმარიტად, საქართველო ჭადრაკის ქვეყანაა. თქვენი სასახლის მსგავსი დიდებული ნაგებობა სხვაგან არ მეგულება. მჯერა, რომ გიორგაძე დიდოსტატის მეორე ბალსაც მოაგროვებს. მემორიალს ამშვენებდა ნონა გაფრინდაშვილის მონაწილეობა. იგი ძალიან ძლიერი მოჭადრაკე ყოფილა, რაც საკუთარ თავზე გამოვცადე.

თ. ნინოშვილი.



### ტაიმანოვის პირველი გამარჯვება

მ. ტალი (რიგა) დაუზავდა რ. ვაგანიანს (ერევანი), ა. ბელიავსკი (ლვოვი) — მ. დვორეცკის (მოსკოვი). ეს მოხდა ლენინგრადში მიმდინარე 42-ე საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირის XII ტურში. ტალმა და ბელიავსკიმ ლიდერობა შეინარჩუნეს. თითოეულს 8 ქულა დაუგროვდა.

ამ დღეს პირველი გამარჯვება იზეიმა მ. ტაიმანოვმა (ლენინგრადი), რომელმაც ო. რომანიშინი (ლვოვი) დაამარცხა. ბ. გულკომ (მოსკოვი) სძლია ვ. ცეშკოვსკის (ომსკი). ყაიმით დამთავრდა კიდევ ერთი შეხვედრა — გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი) — ლ. ალბურტი (ოდესა). სამი პარტია გადაიდო.

## ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 30 წლისთავისთვის

მომავალ წელს მოძმე ჩეხოსლოვაკიის ხალხი აღნიშნავს დიდ დღესასწაულს — ფაშისტ დამპყრობთაგან განთავისუფლების 30 წლისთავს. განვლილი პერიოდი მეგობრობის განმტკიცების, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ფართო თანამშრომლობის წლებია ყველა სფეროში. ეს, რა თქმა უნდა, ეხება ფიზკულტურასა და სპორტსაც. ჩვენი ათლეტების მჭიდრო კონტაქტები, გამოცდილებათა გაზიარება, ორმხრივი შეხვედრები და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა — ყველაფერს ამას შეაქვს წვლილი ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებაში, რომელიც გერმანიის ფაშიზმთან ერთობლივ ბრძოლაშია გამობრძმედილი.

ახლახან მედეოს საციგურაოზე გადიოდნენ წვრთნას ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენები. ამ საციგურაოს ბილიკზე მათ არაერთხელ მიუღწევიათ მაღალი მაჩვენებლებისთვის, დაუმყარებიათ ეროვნული რეკორდები.

ს უ რ ა თ ზ ე: ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდის მწვრთნელი მ. კნაპი ატარებს მეცადინეობას.

საკლესის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს 1974 წლის ჩემპიონები კრივში


მ. ასლანოვი


თ. ლორთქიფანიძე


ა. ტოკალოვი


ს. კატროსიანი


ნ. ამოევი


ი. ხოჯიევი


ვ. კატროსიანი


ა. ყანჩელი


გ. შანიძე


დ. ჟურულია


ა. ნიკოლაძე

# სპარტაკიადას უქმად არ ჩაუვლია

„ლელო" ინტერვიუ

დამთავრდა საქართველოს VI სპარტაკიადის ზონალური შეჯიბრებები, შეჯამდა შედეგები, გაირკვა პრიზიორები საერთო გუნდურ ჩათვლაში და ცალკეულ სახეობებში, გამოვლინდა სპარტაკიადისთვის მზადების საქმეში რაიონების ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობის დადებითი და ნაკლოვანი მხარეები.

როგორც ცნობილია, საქართველოს რაიონების ნაკრები კოლექტივები ორ ზონად იყვნენ გაყოფილი. ჩვენმა კორესპონდენტმა **ც. ძიმისტარიშვილმა** იხახულა აღმოსავლეთ საქართველოს ზონალური სპარტაკიადის მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის არბიტრი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის გამოყენებითი სახეობების განყოფილების უფროსი **დ. კაპცოვი** და სთხოვა ინტერვიუ, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ.

● **გვიამბეთ, როგორი იყო იმ ზონალური სპარტაკიადის ფორმულა, რომელსაც თქვენ მეურვეობდით.**

— საქართველოს სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებით, აღმოსავლეთ საქართველოს ზონალურ სპარტაკიადაში რესპუბლიკის 29 რაიონის ნაკრებ გუნდებს სპორტის 11 სახეობაში უნდა ესასპარეზათ. იმ მიზნით, რომ რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტები ზონალური სპარტაკიადებისთვის მზადებას მთელი პასუხისმგებლობით მოპყრობოდნენ, გუნდების დაკომპლექტების საქმეში მეტი გულისხმიერება გამოეჩინათ, ყველა სახეობაში სასპარეზოდ პირველთანრიგოსნებითა და უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპორტსმენებით დაკომპლექტებული გუნდების გამოყვანა მოვთხოვეთ, ჩათვლას კი მეორე თანრიგის ნორმატივის ჩვენებისთვისაც მიიღებდნენ.

როცა ფიზკულტურის კომიტეტი ამ გადაწყვეტილებას იღებდა, ვარაუდობდა, რომ რაიონებში ადგილებზე ამ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, მაღალთანრიგოსანთა მომზადებისთვის სათანადო მუშაობა გაჩაღდებოდა და მოსალოდნელი იქნებოდა, ზონალურ სპარტაკიადაში საქართველოს იმ ნაკრებისთვის, რომელმაც სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში უნდა იასპარეზოს, რაღაც შევსებას მისცემდა.

სამწუხაროდ, ვარაუდი არ გამართლდა. მართალია, ზოგიერთ რაიონში ამ მიმართებით რაღაც გააკეთეს, მაგრამ უმეტესი რაიონების ფიზკულტურული ორგანიზაციები თითს თითზე არ აკარებდნენ. ბევრ რაიონში საქართველოს სპარტაკიადის ჩატარების დებულებასაც კი არ გაცნობიან და იგი საერთო მსჯელობის საგნად არ გაუხდიათ.

სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის I ეტაპის შეჯიბრებები — ფიზკულტურული კოლექტივების სპარტაკიადები საქართველოს ფიზკულტურული კოლექტივების დიდ უმრავლესობაში არ გამართულა. ზოგან არც საკავშირო სპარტაკიადის II ეტაპის ღონისძიებების — რაიონული სპარტაკიადების მოწყობისთვის შეუწუხებიათ თავი, ამიტომაც ზონალურ სპარტაკიადაშიც სავალალო სურათი გვქონდა.

● **კონკრეტულად, რას ნიშნავს ეს სავალალო სურათი?**

პირდაპირ საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ პირველი ზონალური სპარტაკიადის პრიზიორი რაიოსების, ბორჯომისა და ახალციხის კოლექტივები ამჯერად მეტად ცუდ მდგომარეობაში ვიხილეთ. ბორჯომის რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შედარებით კარგი პირობებია — აქვთ სტადიონი, სარბენი ბილიკები და ძალოსნური სექტორები, განათლების განყოფილების სპორტსკოლის დარბაზი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. ერთი სიტყვით, ამ რაიონის ფიზკულტურელებს შორის სპორტის რამდენიმე სახეობის დანერგვა და განვითარება შეიძლება.

ამას ხელს ისიც უნდა უწყობდეს, რომ ამ ბაზებზე შეკრებას საქართველოს ნაკრების წევრები გადიოდნენ სხვადასხვა სახეობაში, მაგრამ ადგილობრივი ფიზკულტურის კომიტეტი, პირდაპირ ვიტყოდი, არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, თორემ როგორ შეიძლებოდა, რომ ზონალური სპარტაკიადის პროგრამის 11 სახეობიდან გუნდი თუნდაც ერთ სახეობაში მაინც არ გამოეყვანა, მაშინ, როცა სპარტაკიადაში ბევრმა ისეთმა რაიონმა სცადა ძალა, რომელსაც ბორჯომის სპორტული ბაზების ნახევარიც კი არა აქვს.

ახალციხელებმა გუნდები მარტო სამ სახეობაში გამოიყვანეს. ძალოსნობასა და ჭადრაკში II ადგილები დაიკავეს, მძლეოსნობაში კი — VII, სხვა სახეობებში სარბიელზე არ გამოსულან. ამ რაიონებზე განსაკუთრებით იმიტომ შევჩერდი, რომ როგორც უკვე აღვნიშნე, ისინი პირველ სპარტაკიადაში შესანიშნავად, ორგანიზებულად მონაწილეობდნენ, მას შემდეგ კი მათი საქმე სულ უკან და უკან მიდის.

● **ნუთუ დანარჩენი რაიონების ფიზკულტურული ორგანიზაციებიდან სხვა არავინ იმსახურებს გაკიცხვას?**

— როგორ არა. ზონალური სპარტაკიადის არც ერთ სახეობაში არ უასპარეზიათ ახალქალაქის (ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ირიციანი), დმანისის (ციხელაშვილი), ყაზბეგის (ღუდუშაური), მარნეულის (ნადირაძე), სიღნაღის (ბეჟანიშვილი), თიანეთის (შენგელია), ქარელის რაიონების სპორტსმენებს. ალბათ იკითხავთ, რისთვის არსებობენ ამ რაიონებში ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებიო, მეც ამავე კითხვით გიპასუხებთ, მართლაც რისთვის არსებობენ, თუ ოთხ წელიწადში ერთხელაც ვერ გამოვლენ რესპუბლიკურ (ისიც ზონალურ) შეჯიბრებებში? ფეხბურთელთა გუნდები, ერთი და ორი კი არა, ათობით თითქმის ყველა ამ რაიონს ჰყავს და საქართველოს ჩემპიონობის პრეტენზიებიც აქვთ.

აქ ჩამოთვლილ რაიონებს ოდნავ აჯობეს ადიგენის (თავმჯდომარე ტუღუში), ასპინძის (ცინაძე), ბოგდანოვკის (გარსლიანი), ბოლნისის (სარგიანი), თეთრი წყაროს (ლონდარიძე) რაიონებმა (თითო გუნდის დაკომპლექტება მაინც შეძლეს), მაგრამ ვაი ასეთ გუნდებს — ვერც ერთმა საპრიზო ადგილი ვერ მოიპოვა. ცხადია, დიდი აღმავლობით რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის არც ამ რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტები, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საბჭოები მუშაობენ.

● **რაკი გულახდილი საუბარი გაიმართა, გვითხარით სხვა რაიონების წვლილზე ზონალურ სპარტაკიადაში.**

— კასპის, ლაგოდეხისა და გორის რაიონების კოლექტივებმა სპარტაკიადის 3-3 სახეობაში სცადეს ძალები. ლაგოდეხის რაიონის ფიზკულტურული მუშაკების მონდომებამ თავისი ჰქნა. არადა, ლაგოდეხმა როგორ უნდა აჯობოს, ვთქვათ იმავე ბორჯომის ან სიღნაღის, ახალქალაქის რაიონებს, რომლებიც უფრო სპორტულ რაიონებად არიან ცნობილი. გორის რაიონიდან მეტს ველოდით. მართალია, აქაურებმა კლასიკურ ჭიდაობაში პირველობა მოიგეს, მაგრამ ქართულ ჭიდაობაში IV, ძიუდოში კი VII ადგილებით დაკმაყოფილდნენ. გორელებს ასეთი ჩავარდნა არ ეპატიებათ. რაიონის სპორტსმენები ამ მარცხს შეიძლება ნანობენ, მაგრამ არა გვგონია, ასეთივე სინდისის ქეჯნას გრძნობდეს ამ რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე კოშკაძე. იგი სპარტაკიადას გულგრილად მოეკიდა, რაც იქიდანაც ჩანს, რომ თავს არც თავისი გუნდების მივლინებით იწუხებდა და არც სტუმრების ღირსეულად დახვედრისთვის ირჯებოდა.

მისი დაუდევრობის ერთი მაგალითი „ლელომ" უკვე დაბეჭდა, მაგრამ სიტყვამ მოიტანა და მეც უნდა გავიმეორო: ფრენბურთელთა შეხვედრაში, რომელიც მის მოედანზე უნდა გამართულიყო, სტუმრად ჩამოსულ გუნდს თავისი კოლექტივიც კი ვერ დაახვედრა. შეხვედრის გამართვისთვის ბაზაც არ ჰქონდა მოძებნილი და მომზადებული.

● **ვიცით, რომ საქართველოს ზონალური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები სხვადასხვა რაიონების ბაზებზე ტარდებოდა. როგორი იყო ასპარეზობათა ორგანიზაცია?**

— ბევრგან ნდობას პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდნენ. შეჯიბრებები კარგად ჩაატარეს ძიუდოში (ყვარელი, ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ყანდაურაშვილი,), ქართულ ჭიდაობასა და ფრენბურთში (დუშეთი, იორდანიშვილი), თავისუფალ ჭიდაობაში (საგარეჯო, ოდიკაძე), რასაც ვერ ვიტყვით, მაგალითად, გურჯაანზე (ჭუჭულაშვილი). აქ მძლეოსნობაში საასპარეზოდ არც ბაზა იყო მოწყობილი (ბილიკებზე ბალახი ბიბინებდა), არც ყველა ინვენტარი აღმოაჩნდათ, მაგალითად, ქალების ბადრო მსაჯთა კოლეგიას გაუხდა საძებარი.

თელავში ძალოსანთა შეჯიბრებების გამართვის საკმაო გამოცდილება აქვთ — აგერ თითქმის ათი წელია აქ რეგულარულად ეწყობა გ. ჩიკვაიძის სახელობის თასის რესპუბლიკური გათამაშება, მაგრამ... არ ვიცით, უდარდელობის ბრალია თუ დაუდევრობისა, დღემდე ვერც დარბაზი მოაწყვეს სათანადოდ (ამის შესანიშნავი საშუალებაა), არც შხაპი აქვთ, არც გასახდელები.

● **როგორი იყო ტექნიკური შედეგები?**

— როგორც სპარტაკიადამ დაგვანახვა, სპორტსმენთა საერთო მომზადების დონე დაბალია. მაგალითად, მძლეოსნობაში 113 კაცი ასპარეზობდა, სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმატივი მხოლოდ ერთმა მძლეოსანმა შეასრულა, პირველი თანრიგის შედეგს ვერავინ შეწვდა. ჩასათვლელი მეორე თანრიგის ნორმატივი 15 სპორტსმენმა აჩვენა, 24 კაცი კი მესამე თანრიგის ნორმატივის შესაბამისი შედეგის ჩვენებით დაკმაყოფილდა. ძალოსნობაში 21 შტანგისტი ცდიდა ძალას. ოთხი კაცი ამაოდ დაშვრა.

თუ რაიონებიდან წარმოდგენილ ყოველწლიურ სტატისტიკურ ანგარიშებს დავუჯერებთ, რაიონების ფიზკულტურული ორგანიზაციები მცირე რაოდენობის მაღალთანრიგოსნებს როდი ამზადებენ, მაგრამ საკითხავია, სად იყვნენ ეს მაღალთანრიგოსნები, ზონალურ სპარტაკიადაში რატომ არ აჩვენეს თავიანთი სიყოჩაღე?

ვფიქრობთ, სპარტაკიადის დაბალი ტექნიკური შედეგები იმანაც გამოიწვია, რომ რაიონების ფიზკულტურის კომიტეტებმა გუნდები დროულად არ დააკომპლექტეს, ხოლო როცა სტარტები მოახლოვდა, ფაციფუცში ყველაფერი ველარ გაითვალისწინეს. ალბათ ისიც ამ ფაციფუცის ბრალი გახლდათ, რომ სამანდატო კომისიებში თითქმის მუდამ უხეიროდ შედგენილ განაცხადებსა და სხვა დოკუმენტებს წარადგენდნენ ხოლმე.

● **რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ყოველივე ზემოთქმულიდან?**

— ფიზკულტურის რაიონული კომიტეტები, სპორტსაზოგადოებათა რაიონული საბჭოები, ფიზკულტურის კოლექტივები ადრე ნაკლები წინააღმდეგობის გზით სიარულს, თვალის ახვევით, სიყალბით ფონს გასვლას მიეჩვივნენ. მართალია, რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებმა ჩვენი ფიზკულტურული საქმიანობის გაჯანსაღებისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებანი მიიღეს, მაგრამ მისი ცხოვრებაში გატარებისთვის ჯერ კიდევ ყველგან სათანადოდ არ ზრუნავენ. რაიონების ხელმძღვანელი ორგანიზაციები, უმეტესად შემოწმებებით, რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობაზე ათასში ერთხელ მსჯელობით კმაყოფილდებიან, ფიზკულტურის კომიტეტების პრაქტიკულ დახმარებაზე, მათ ხელის შეწყობაზე კი არ ზრუნავენ. დასამალი როდია, რომ ბევრ რაიონში ფიზკულტურის კომიტეტების ავტორიტეტი საგრძნობლად დაეცა. კარგი იქნებოდა რაიონების ხელმძღვანელები თუ ამაზეც იზრუნებდნენ.

● **თითქმის ყველაფერზე ვისაუბრეთ, მაგრამ ზონალურ სპარტაკიადაში გამარჯვებულებზე არაფერი გვითქვამს.**

— აღმოსავლეთ საქართველოს ზონალური სპარტაკიადისთვის ყველაზე უკეთესად თელავის (ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე სახიევი), ხაშურისა (ნოზაძე) და წითელი წყაროს (ქოჩიაშვილი) რაიონები მოემზადნენ. თელაველებმა პროგრამის ყველა სახეობაში იასპარეზეს და სამბოში, ლელობურთში, ძალოსნობაში, აგრეთვე, კალათბურთელ და ფრენბურთელ ვაჟთა შეჯიბრებებში I ადგილები დაისაკუთრეს, მათ II ადგილები მოიპოვეს კლასიკურ ჭიდაობაში და კალათბურთელ ქალთა ტურნირში, III — ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში და ჭადრაკში. თელავის დელეგაციამ სულ 307,5 ქულა მოაგროვა, რამაც კოლექტივს საერთო გუნდური გამარჯვება მოუპოვა.

II ადგილზეა ხაშურის რაიონის სპორტული დელეგაცია — 168,5 ქულა. ხაშურელებმა მხოლოდ ძალოსნობაში ვერ შეძლეს მონაწილეობა. ჭადრაკსა და კალათბურთელ ქალთა შორის მათ პირველი ადგილები დაისაკუთრეს, მძლეოსნობასა და კალათბურთში (ვაჟები) კი მეორე ადგილები მოიპოვეს. ლელობურთში ისინი მესამე იყვნენ.

III ადგილი წითელწყაროელებს ერგოთ — 132 ქულა. მართალია, მათ არც ერთი სახეობა არ მოუგიათ (სხვა სახეობებში ხუთი გუნდური საპრიზო ადგილი აქვთ), მაგრამ ათ სახეობაში მონაწილეობას, მთელი რაიონის სპორტსმენთა მონდომებას, უკვალოდ არ ჩაუვლია.

კარგად გამოვიდნენ, აგრეთვე საგარეჯოსა (118,5 ქულა) და დუშეთის (117) რაიონები. ეტყობოდა, ამ რაიონების პარტიული და სახელმწიფო ორგანოები, სხვებთან შედარებით, ფიზკულტურულ ორგანიზაციებს უფრო აქტიურ დახმარებას უწევენ.

● **ბოლო კითხვა. როგორ გესახებათ რაიონებში სპორტის აღმავლობის გზები?**

— რაიონებს შორის ოთხ წელიწადში ერთხელ შეჯიბრებების გამართვა ბევრს არაფერს იძლევა. ჩემის აზრით, საქმე დიდად მოიგებდა თუ ცალკეულ სახეობებში ყოველწლიურად, შედარებით უფრო იოლი მოთხოვნებით გავმართავდით შეჯიბრებებს რაიონების გუნდებს შორის. ეს რაიონების დაინტერესებასაც გაზრდის. ამასთან, ყველა რაიონში ყველა სახეობას კი არ უნდა მოვებღაუჭოთ არამედ ძირითად სახეობად რამდენიმე შევურჩიოთ (შესაძლებლობის მიხედვით) და ადგილობრივ ფიზკულტურის კომიტეტებს მათი განვითარებისთვის ზრუნვა მოვთხოვოთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთი

## საქართველოს ჩემპიონატი

დამთავრდა საქართველოს 1974 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში.

### I ჯგუფი

● „ქართლი" (გორის რაიონი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 2:2. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

გელდიაშვილისა და რევაზიშვილის მიერ გატანილი 2 გოლი გაქვითა ოჩამჩირელმა დარასელიამ.

● ასკ (თბილისი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 1:8. მსაჯი ლ. ლონლაძე (თბილისი).

თბილისის არმიელთა კოლექტივიდან, რომელმაც ამას წინათ შეიარაღებული ძალების საკავშირო პირველობა მოიგო, წავიდა ძირითადი შემადგენლობის მრავალი მოთამაშე. არმიელებმა სასტიკი მარცხი იწვნიეს „სალხინოსთან" შეხვედრაში, რომელსაც ხწორედ დიდი ანგარიშით გამარჯვება ესაჭიროებოდა საპრიზო ადგილის მოსაპოვებლად.

● „დინამო" (სოხუმი) — „კახეთი" (თელავი) 2:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

● „ვარძია" (ასპინძა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 4:2. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

ანგარიში 11-მეტრიანი დარტყმით გახსნა თბილისელმა ჭიჭინაძემ, მაგრამ მასპინძლებმა მალე ხელთ იგდეს ინიციატივა და ჯაშისა და ფოცხვერაშვილის მიერ გატანილი გოლებით დაწინაურდნენ კიდეც. შესვენების მერე ჯაშმა მესამე ბურთი გაიტანა, შემდეგ ჭანტურიამ განსხვავება შეამცირა 1 ბურთით, 84-ე წუთზე კი ხაჩატურიანმა მეოთხე გოლი გაიტანა სტუმრების კარში.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებული არიან თბილისელი ფეხბურთელები ჭიჭინაძე და შტეფანი, ხოლო მათი თანაგუნდელი გუგუბერიძე არასპორტული საქციელისთვის გაძევებული იქნა მინდვრიდან.

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 38 | 23 | 11 | 4 | 72—29 | 57 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 38 | 23 | 6 | 9 | 69—26 | 52 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 38 | 18 | 13 | 7 | 63—35 | 49 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 38 | 20 | 9 | 9 | 65—39 | 49 |
| „დინამო" (სოხუმი) | 38 | 19 | 9 | 10 | 70—43 | 47 |
| ასკ (თბილისი) | 38 | 17 | 10 | 11 | 75—58 | 44 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 38 | 18 | 8 | 12 | 73—61 | 44 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 38 | 16 | 11 | 11 | 57—40 | 43 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 38 | 16 | 11 | 11 | 64—49 | 43 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 38 | 13 | 13 | 12 | 62—50 | 39 |
| „ამირანი" (ოჩამჩირე) | 38 | 14 | 10 | 14 | 53—51 | 38 |
| „კახეთი" (თელავი) | 38 | 14 | 8 | 16 | 51—59 | 36 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 38 | 13 | 10 | 15 | 48—62 | 36 |
| „ქართლი" (გორის რ-ნი) | 38 | 13 | 8 | 17 | 66—71 | 34 |
| „ვარძია" (ასპინძა) | 38 | 13 | 5 | 20 | 48—61 | 31 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 38 | 10 | 10 | 18 | 46—66 | 30 |
| „ივერია" (ხაშური) | 38 | 11 | 6 | 21 | 37—70 | 28 |
| „განთიადი" (თბილისი) | 38 | 7 | 11 | 20 | 41—65 | 25 |
| „სულორი" (ვანი) | 38 | 6 | 7 | 25 | 33—88 | 19 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 38 | 5 | 6 | 27 | 40—110 | 16 |

## სტუდენტთა თასი

გაიმართა სტუდენტ ფეხბურთელთა რესპუბლიკური თასის მორიგი ეტაპის მატჩები.

გორის პედინსტიტუტის გუნდმა ანგარიშით 4:2 დაამარცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი, ხოლო ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მოუგეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდს — 3:0. იგივე ანგარიში იქნა ფიქსირებული სოხუმის პედინსტიტუტისა და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდების შეხვედრაში. გაიმარჯვეს სოხუმელებმა.

თელავის პედინსტიტუტის კოლექტივმა მოუგო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის გუნდს — 1:0.

უნივერსიტეტის ფეხბურთელებმა განმეორებით შეხვედრაში დაამარცხეს გორელები — 2:0 და გავიდნენ ნახევარფინალში. ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ბათუმელებმაც, რომლებმაც ფრედ დაამთავრეს მეორე მატჩი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდთან — 1:1.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### მიულერი ფორმაში შედის

ცამოჩენილი სნაიპერი მიულერი, რომელიც უფეროულად თამაშობდა გფრ-ის ჩემპიონატის დასაწყისში, თანდათან შევიდა ჩვეულ ფორმაში. ახლა მას გატანილი აქვს 10 ბურთი და სნაიპერთა შორის 11 ადგილზეა. მას 2 გოლით უსწრებს „კაიზერსლაუტერნში" მოთამაშე ცნობილი შვედი თავდამსხმელი სანდბერგი.

● ●

### ორმანჯიევი მლადენოვის ნაცვლად

როგორც სოფიაში ოფიციალურად გამოცხადდა, ბულგარეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელად მლადენოვის ნაცვლად დაინიშნა ორმანჯიევი.

სტოიან ორმანჯიევი ცნობილი პიროვნებაა ბულგარეთის ფეხბურთში. იგი 54 წლისაა, 1936-1949 წლებში თამაშობდა ბულგარეთის ნაკრებში (20 მატჩი), 1950-60 წლებში წვრთნიდა ეროვნულ ნაკრებს.

მლადენოვის გადადგომა გამოიწვია ბულგარეთის ნაკრების თამაშის გაუარესებამ და უფერულმა შედეგებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში.

● ●

### „ეკიპის" აზრით

პარიზის სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა" მოაწყო საფრანგეთის პირველი დივიზიონის (ჩვენებურ უმაღლეს ლიგას უდრის) 20 მწვრთნელის გამოკითხვა. მათ წინადადება მიეცათ ელაპარაკათ გუნდების შესაძლებლობაზე 1974-75 წლების ჩემპიონატში.

გამოკითხვამ საინტერესო შედეგი მოიტანა — ოცივე სპეციალისტი „სენტ-ეტიენს" ყველა გუნდზე მთელი თავით მაღლა აყენებს და ჩემპიონატში რაიმე სერიოზულ ბრძოლას არ ელის. „სენტ-ეტიენი" ახლა დამაჯერებლად ლიდერობს საფრანგეთის ჩემპიონატში და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალშიც გავიდა, რაც ფრანგული ფეხბურთისთვის დიდ მიღწევად მიაჩნიათ.

● ●

### რიველინოს დისკვალიფიკაცია

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით 5 მატჩით აეკრძალა თამაში ეროვნული ნაკრების ცნობილ ფეხბურთელს რიველინოს.

თავისი კლუბის „კორინტიანსის" (სან-პაულუ) მატჩში „ბოტაფოგოს" (რიო-დე-ჟანეირო) წინააღმდეგ რიველინომ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს.





## ჩვენი მოკლე კორესპონდენციები

### „აკეთე, როგორც მე!"

სულ ახლახანს დუშანბეში მშვილდოსანთა საკლასიფიკაციო შეჯიბრებაში ნ. რუსტამოვამ სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა, მშვილდოსნობას კი მხოლოდ წლეულს მოჰკიდა ხელი.

ნურინისომ ასეთ სწრაფ წარმატებას თავისი მწვრთნელის, უფროსი დის ზებუნისოს წყალობით მიაღწია, რომელიც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია.

ზებუნისო, დუშანბის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი, სპორტის დიდი ენთუზიასტია. მისი ინიციატივით „დინამოში" ჩამოყალიბდა სკოლის ასაკის მშვილდოსან გოგონათა სექცია. აქ მოიყვანა ზებუნისომ თავისი უმცროსი და და მეცადინეობის დაწყებამდე უთხრა: „აკეთე, როგორც მე!".

თვითონ ზებუნისომ სპორტული ოსტატობის მწვერვალების დაპყრობა დაიწყო ანბანიდან და შრომისმოყვარეობამ და შეუპოვრობამ ეს გზა მალე დააპყრობინა. ნურინისოს უკვე აღარ უჭირს, რადგან მისი დასაყრდენია უფროსი დის მდიდარი სპორტული გამოცდილება.

შესაძლოა ნურინისომ გაუსწროს სპორტში თავის უფროს დას. ამას დრო გვიჩვენებს.

ზ. დეინიჩენკო.

დუშანბე.

### გეპატიჟებათ „ჯანმრთელობის ცენტრი"

ბერლინის 160 საწარმოსა და ორგანიზაციას ემსახურება ახლახანს შექმნილი სპორტული ჯანმრთელობის ცენტრი. შრომითი დღის შემდეგ აქ მოსული ადამიანები დროს ატარებენ აქტიურ დასვენებაში. ლაიპციგის ფიზკულტურის ინსტიტუტის სწავლულებმა შეიმუშავეს სხვადასხვა ასაკის ადამიანებისთვის ფიზიკურ ვარჯიშთა სპეციალური პროგრამა მუშაობის სპეციფიკის მიხედვით. შესანიშნავადაა მოწყობილი ამ კომპლექსის სპორტული დარბაზები: აქ არის ხარბენი ბილიკები, სათამაშო მოედნები, სპეციალური დარბაზი ათლეტური ტანვარჯიშისთვის. ხნიერი ადამიანებისთვის მოწყობილია სპეციალური კაბინეტები ძალისმიერი ვარჯიშისთვის.

მეცადინეობა ჯგუფების მიხედვით სწარმოებს. ასეთი ჯგუფი დაახლოებით სამასია. წვრთნას ხელმძღვანელობს ფიზკულტურის 180 მასწავლებელი. მოელიან, რომ საგაისოდ ბერლინის ჯანმრთელობის ცენტრში რეგულარულად ივლის ქალაქის 6 ათასი მაცხოვრებელი.

ბერლინი.

### ბაქოს პირველი ჩემპიონი

70 წელი შეუსრულდა ერთ-ერთ უხუცეს საბჭოთა მოჭადრაკეს ვ. ა. მაკაგონოვს. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ვლადიმერ ანდრიას ძე ბაქოს პირველ ჩემპიონატში გამარჯვებული გამოვიდა. მას შემდეგ იგი წარმატებით თამაშობდა დიდ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში. მის აქტივშია გამარჯვებები მ. ბოტვინიკთან, ვ. სმისლოვთან, პ. კერესთან, ს. ფლორთან, ს. რეშევსკისთან და სხვა ცნობილ დიდოსტატებთან.

„ნებისმიერ შეჯიბრებაში ყველაზე საშიში კონკურენტია პირველი ადგილისთვის ბრძოლაში", ასე დაახასიათა ბოტვინიკმა მაკაგონოვი. ეს იყო 1943 წელს, როცა ბაქოელმა ძალიან ძლიერი შემადგენლობის ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა (პირველი იყო ბოტვინიკი). მაკაგონოვმა უკან მოიტოვა სმისლოვი, ა. კოტოვი, ი. ბონდარევსკი, ა. ლილიენტალი და სხვ.

პენსიაზე გასვლამდე ვლადიმერ ანდრიას ძე ჭადრაკით გატაცებას უხამებდა თავის ძირითად პროფესიას — სკოლის მათემატიკის მასწავლებლობას.

მაკაგონოვების ოჯახში ყველა სპორტსმენია. ორი ძმა პოპულარული ფეხბურთელი იყო: ვიქტორი ამიერკავკასიის ნაკრებში თავდამსხმელი იყო, ხოლო ვალენტინი უძლიერეს მეკარედ ითვლებოდა. კიდევ ერთი ძმა მიხეილი — მოჭადრაკეა. მრავალ წელს რესპუბლიკის ფრენბურთელთა ნაკრებ გუნდს მეთაურობდა ვლადიმერ ანდრიას ძის შვილი ანატოლი.

ბაქო.

### ოჯახური გატაცება

კრასნოიარსკის მხარის ჩემპიონატში მოჭადრაკე ქალთა შორის მიმდინარე წელს პირველ ორ ადგილზე ერთი და იგივე გვარის წარმომადგენლები გავიდნენ. მხარის ჩემპიონი პირველად გახდა კრასნოიარსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, 17 წლის ოსტატობის კანდიდატი ლენა, ხოლო უსიამოვნო თავსართი „ექსი" მიიღო მისმა დედამ, ლიდია ახმილოვსკაიამ.

პირველად ლენას შესახებ კრასნოიარსკელებმა ოთხი წლის წინათ შეიტყვეს, როცა იგი ქალაქის ჩემპიონი გახდა... ბიჭუნებში. შარშან ლენამ გუნდის შემადგენლობაში სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა მოსწავლეთა შორის.

ახმილოვსკაიების ოჯახში კიდევ ერთი მოჭადრაკე იზრდება — ლენას უმცროსი და ტანია, რომელსაც უკვე მეორე თანრიგი აქვს.

კრასნოიარსკი.

### ახალი სპორტის სასახლე

ყირგიზეთის დედაქალაქის ცენტრში წარმტაცად გამოიყურება მინისა და ბეტონისგან აგებული ვრცელი დარბაზი, რომლის ფრონტონს ამშვენებს წარწერა: „ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტის სასახლე".

ამ ორიგინალური შენობის მოპირკეთებაში ფართოდაა გამოყენებული მარმარილო, გრანიტი და სხვა თანამედროვე სამშენებლო მასალა. ორიგინალურადაა გადაწყვეტილი კორპუსის სახურავის კონსტრუქცია. აქ პირველად ჩვენს ქვეყანაში გამოყენებულია უჟანგავი ფოლადისგან მემბრანული გადახურვა.

ფრუნზე.

### „მოხეტიალე აუზი"

ორი დღე საკმარისია იმისთვის, რომ დავდგათ გადასატანი აუზი „ოსვოდ-1" ნებისმიერ ადგილზე — კოლმეურნეობაში, საქარხნო ეზოში, პიონერთა ბანაკში, დასასვენებელ სახლში.

აუზის სააბაზანო შედგება 34 ლითონის ფარისგან და იფარება სპეციალური ფირით, რომელიც უძლებს 60 გრადუსზე მეტ ყინვას.

წყლის ფილტრაცია, გათბობა და ქლორის შეყვანისთვის დანადგარი უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს.

გადასატანი აუზი სიდიდით არ ჩამოუვარდება სტაციონალურებს: სიგრძით 25 მეტრია, ხოლო სიგანით 12,5. აქ შეიძლება საკვალიფიკაციო ტურნირების ჩატარება.

ნაგებობა 9 ტონას იწონის და დაშლილი სახით ორ სატვირთო მანქანაზე ეტევა. პირველი შეკვეთები „ოსვოდ-1" გასაკეთებლად უკვე მიღებულია ვლადივოსტოკიდან, დნეპროპეტროვსკიდან, კიევიდან, კემეროვოდან, ოდესიდან და უფიდან.

ი. გლუშეცი.

კიევი.

### პატრიოტის ხსოვნისთვის

მოგილიოვში დამთავრდა მოზარდ ჩოგბურთელთა ტრადიციული შეჯიბრება, რომელიც მიძღვნილი იყო აქაური პატრიოტი იატაკქვეშელის ტანია კარპინსკაიას ხსოვნისადმი. იგი 1943 წელს ფაშისტურ ჯურღმულებში დაიღუპა და სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით.

ტურნირში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთისა და სსრ კავშირის სპორტსმენები. საპატიო პრიზი მესამედ ზედიზედ მოიპოვეს მოსკოველმა ჩოგბურთელებმა. II ადგილზე გავიდნენ უნგრელები.

პირად ტურნირში გაიმარჯვეს ნიკოლეტ ვაშვარიმ (უნგრეთი), ელენე სუკონოვამ (მოსკოვი), ანიტა ზახარიანმა (ერევანი), ვალერი შევჩენკომ (ლენინგრადი), ჟოლტ კრიშტონმა, მიკლოშ ფორპაშმა (ორივე — უნგრეთი).

• • •

სურათებზე: ზევით — პირად ტურნირში გამარჯვებული ნ. ვაშვარი; ქვევით — მოსკოვის № 878 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე ე. სუკონოვა.

ნ. ველუდოვიჩის ფოტოები. (საქდესის ფოტოქრონიკა).





თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონის მიდამოებში თითქმის ყოველ შაბათ-კვირას გაისმის მიკროძრავების გუგუნი. აქ საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის ემზადებიან ჩვენი რესპუბლიკის ავიამოდელისტები, რომლებიც მათ მიერ დამზადებულ „მანქანებს“ ერთხელ კიდევ ამოწმებენ, სრულყოფენ, საჭიროების შემთხვევაში მთლიანად ცვლიან.

• • •

სურათებზე: ზევით — მეთოდისტი ვ. ავერინი, გუნდის მწვრთნელი ა. გონგინი (ცენტრში) და სპორტის ოსტატობის კანდიდატი, „საჰაერო ბრძოლაში“ საკავშირო საიუბილეო სპარტაკიადის პრიზიორი ა. ჩერნეცი (მარჯვნივ) მოდელს გასაფრენად ამზადებენ; ქვევით — რეზინისძრავიანი მოდელებით ასპარეზობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ა. ლომთათიძე (მარცხნივ) და ტაიმერული მოდელით შეჯიბრებაში საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი, თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის თვითმფრინავმშენებლობის ფაკულტეტის მეოთხეკურსელი ი. შვილკინი მოდელის უწესივრობას ამოწმებენ.

ხ. ვართანიანცის ფოტოები.

# მეოთხედფინალური ჯგუფები

ამას წინათ მიუნჰენში, კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინაში მოეწყო ევროპული ტურნირების ახალი წილისყრა.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში შეიქმნა ორი მეოთხედფინალური ჯგუფი. ამ ჯგუფებში I-II ადგილებზე გასული კოლექტივები შექმნიან ნახევარფინალურ ჯგუფს, რომელიც გამოავლენს ფინალისტებს. შეხვედრები მეოთხედფინალურ და ნახევარფინალურ ჯგუფებში ჩატარდება წრიული სისტემით (ორ წრედ).

აი როგორ განაწილდნენ გუნდები: **„ა“ ჯგუფი.** „ბალკანი“ (ბოტევგრადი, ბულგარეთი), „ინისი“ (ვარესე, იტალია), „ზადარი“ (ზადარი, იუგოსლავია), „სლავია“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია), „რესინგი“ (მალინი, ბელგია), უვსკ (ვენა, ავსტრია); **„ბ“ ჯგუფი.** „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი), „მაკაბი“ (ტელ-ავივი, ისრაელი), ცსკა (მოსკოვი, სსრ კავშირი), „ბერკი“ (პარიზი, საფრანგეთი), „ტრანსოლი“ (როტერდამი, ჰოლანდია), „ალვიკსი“ (სტოკჰოლმი, შვეცია).

ქალთა ტურნირის მეოთხედფინალურ ჯგუფებში 4-4 კოლექტივი გაერთიანდა. შეჯიბრების ფორმულა ისეთივეა, როგორიც ვაჟებთან.

**„ა“ ჯგუფი.** „მარიცა“ (პლოვდივი, ბულგარეთი), ტტტ (რიგა, სსრ კავშირი), „ჰელასი“ (განდი, ბელგია), „სპარტა“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია); **„ბ“ ჯგუფი.** „კლერმონ ფერანი“ (კლერმონ ფერანი, საფრანგეთი), „პოლიტექნიკი“ (ბუქარესტი, რუმინეთი) „ჯეასი“ (სესტო სან-ჯოვანი, იტალია), ბსე (ბუდაპეშტი, უნგრეთი).

თასების მფლობელთა თასის გათამაშების მონაწილენიც დაყოფილი არიან ჯგუფებად. ვაჟთა ტურნირში ეს ჯგუფები ასე გამოიყურება.

**„ა“ ჯგუფი.** „სპარტაკი“ (ლენინგრადი, სსრ კავშირი), „იუგოპლასტიკა“ (სპლიტი, იუგოსლავია), „ლიომანი“ (პარიზი, საფრანგეთი), „სინუდინი“ (ბოლონია, იტალია).

**„ბ“ ჯგუფი.** ცსკა „სეპტემვრიისკო ზნამე“ (სოფია, ბულგარეთი), „ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი, იუგოსლავია), „ხუვენტუდი“ (ბადალონა, ესპანეთი), „რესინგი“ (ანტვერპენი, ბელგია).

ქალების ტურნირი, როგორც გიუწყებოდით, ატარებს ცნობილი იტალიელი კალათბურთელის ლილიან რონკეტის სახელს. აქაც ორი ჯგუფია 3-3 გუნდის შემადგენლობით.

**„ა“ ჯგუფი.** „სპარტაკი“ (ლენინგრადი), „სპარტაკ-ლევსკი“ (ბულგარეთი) და იეფს (რუმინეთი).

**„ბ“ ჯგუფი.** „მინიორი“ (ბულგარეთი), „სლავია“ (ჩეხოსლოვაკია), „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია).

# ჩემპიონატები, თასები, ტურნირები

## ინგლისი

გათამაშების ლიდერი „სტოკ-სიტი“ ლიდსში შეხვდა „ლიდს იუნაიტედს“. ამ უკანასკნელმა ალმავლობით ჩაატარა მატჩი და გაიმარჯვა — 3:1. ლივერპულის „ევერტონმა“ სტუმრად მოუგო „დერბი ქაუნთის“ — 1:0. საყურადღებოა, რომ „ევერტონმა“ მთელი მატჩის მანძილზე სულ 2 კონტრშეტევა განახორციელა და ერთ-ერთი მათგანი ლაჩფორდმა გოლით დაამთავრა.

„იფსვიჩ თაუნმა“ საკუთარ მინდორზე მოუგო ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ — 4:0, „ლივერპულმა“ — „ლუტონ თაუნს“ — 2:0, ხოლო ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედმა“ ფრედ დაამთავრა შეხვედრა „მანჩესტერ-სიტისთან“ — 0:0.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ევერტონი“ | 21 | 30:19 | 28 |
| „ლივერპული“ | 21 | 29:16 | 27 |
| „სტოკ-სიტი“ | 22 | 37:28 | 27 |
| „მანჩესტერ-სიტი“ | 22 | 29:27 | 27 |
| „იფსვიჩ თაუნი“ | 22 | 32:18 | 26 |

## შოტლანდია

ჩემპიონატის მორიგმა ტურმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბრძოლა პირველობისთვის წლეულსაც მხოლოდ 2 გუნდს — „სელტიკსა“ და „გლაზგო რეინჯერსს“ შორის წარიმართება. „სელტიკმა“ სტუმრად მოუგო „დანდის“ 6:0, ხოლო „გლაზგო რეინჯერსმა“ — „ერბოთს“ 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი“ | 16 | 45:12 | 28 |
| „გლაზგო რეინჯერსი“ | 16 | 44:14 | 28 |
| „ჰიბერნიენი“ | 16 | 32:15 | 24 |

## იტალია

კვირას ნეაპოლის „ნაპოლი“ მასპინძლობდა ლიდერს — ტურინის „იუვენტუსს“. მატჩი ძალზე საინტერესოდ წარიმართა და იტალიის ჩემპიონატისთვის უჩვეულო შედეგიანობით აღინიშნა — 6:2 „იუვენტუსის“ სასარგებლოდ.

ტურინში „ტორინომ“ და რომის „ლაციომ“ ფრედ ითამაშეს — 2:2. მილანის „ინტერნაციონალემ“ ბერტინის ერთადერთი გოლის წყალობით 2 ქულა მოიპოვა „ტერნანასთან“. ფრედ — 0:0 ითამაშეს „კალიარიმ“ და „მილანმა“.

10 ტურის შემდეგ 16 ქულით ლიდერობს ტურინის „იუვენტუსი“. „ტორინო“ 13 ქულით II ადგილზეა.

## ესპანეთი

გათამაშების ლიდერი — მადრიდის „რეალი“ კვირას შინ შეხვდა სან-სებასტიანის „რეალ სოსიედადს“. 2 ქულის აღება ლიდერისთვის ძნელი საქმე არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ანგარიში სტუმრებმა გახსნეს და მხოლოდ მატჩის მიწურულში შეძლო მადრიდელთა ცენტრფორვარდმა სანტილიანამ საპასუხო გოლის გატანა — 1:1. „ბარსელონამ“ შინ მოუგო „გრანადას“ — 2:1.

მადრიდის „ატლეტიკო“ აგებდა სალამანკაში ადგილობრივ გუნდთან — 0:1, მაგრამ თამაშის ბოლოს ერედიამ პენალტიდან ანგარიში გაათანაბრა — 1:1. საუკეთესო სნაიპერთა სიას ლიდერობენ მადრიდის „რეალის“ ფორვარდები რობერტო და სანტილიანა — 7-7 გოლი.

12 ტურის შემდეგ 19 ქულით ლიდერობს მადრიდის „რეალი“, II ადგილზე 16 ქულით „ბარსელონაა“.

## გფრ

შაბათს გათამაშების მორიგ ტურში „ჰამბურგერ შპორტფერაინმა“ საკუთარ მინდორზე აჯობა მიუნჰენის „ბაიერნს“ — 1:0.

მენჰენგლადბახის „ბორუსიამ“, აგრეთვე, შინ დაამარცხა ბრემენის „ვერდერი“ — 4:2. მასპინძელთაგან 3 გოლი ჰაინკესმა გაიტანა. „ბოხუმმა“ მოუგო დასავლეთ ბერლინის „ჰერტას“ — 4:0.

22 ქულით ლიდერობენ „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ და ოფენბახის „კიკერსი“. მათ 1 ქულით ჩამორჩებიან დასავლეთ ბერლინის „ჰერტა“ და ფრანკფურტის „აინტრახტი“.

(საქ. ინფ.).

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

# ფინანსური კომისიის შედეგები

ამას წინათ ციურიხში, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ფინანსურმა კომისიამ გამოაქვეყნა საბოლოო განცხადება მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატის შესახებ. ამ განცხადების თანახმად ჩემპიონატის საერთო შემოსავალი შეადგენს 74 მილიონ შვეიცარიულ ფრანკს (ანუ 28 მილიონ დოლარს). სხვადასხვა ხარჯების გამოქვითვის შედეგად წმინდა მოგებამ 55 მილიონი ფრანკი შეადგინა.

ამ თანხის 10 პროცენტი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას ერგო, 25 პროცენტი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთის კავშირს (ჩემპიონატის ორგანიზატორს), დანარჩენი 65 პროცენტი განაწილდა ტურნირის მონაწილე 16 კოლექტივს შორის.

დადგინდა, აგრეთვე, ძირითადი შემოსავლის წყაროები. ბილეთების გაყიდვამ ორგანიზატორებს 34.340 ათასი ფრანკი მოუტანა, ტელევიზიამ—17.910 ათასი, სუვენირებით ვაჭრობამ — 14.700 ათასი. ფინანსური კომისიის ანგარიშის თანახმად მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს სულ 1.769.062 მაყურებელი დაესწრო.

# შევინსკა და მერქსი — პირველები

პარიზი. აქ შეაჯამეს სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო გამოკითხვის შედეგები, რომლის მიზანი იყო წლევანდელი სეზონის 10-10 საუკეთესო სპორტსმენის ვინაობის დადგენა.

ქალთა შორის ადგილები ასე განაწილდა: მძლეოსანი ი. შევინსკა (პოლონეთი) — 102 ქულა, ტანმოვარჯიშე ლ. ტურიშჩევა (სსრ კავშირი) — 92, ჩოგბურთელი კ. ევერტი (აშშ) — 55, სამთომოთხილამურე ა.-მ. პრიოლი (ავსტრია) — 32, მოცურავეები უ. რიხტერი — 27 და კ. ენდერი — 26, მძლეოსანი რ. ვიტჩასი (ყველა — გდრ) — 25, მძლეოსანი ფ. მელნიკი (სსრ კავშირი) — 22, მძლეოსანი რ. ფუქსი (გდრ) — 17 და მოცურავე შ. ბაბაშოფი (აშშ) — 15.

ვაჟთა შორის: ველოსიპედისტი ე. მერქსი (ბელგია) — 79, ფეხბურთელი ფ. ბეკენბაუერი (გფრ) — 69, ფეხბურთელი ი. კრუიფი (ჰოლანდია) — 68, მოკრივე მ. ალი — 42, ჩოგბურთელი ჯ. კონორსი (ორივე — აშშ) — 35, მძლეოსანი ტ. ბაიი (ტანზანია) — 31, ძალოსანი ვ. ალექსეევი (სსრ კავშირი) — 28, მოცურავე ტ. შოუ (აშშ) — 18, ავტომობილისტი ე. ფიტიპალდი (ბრაზილია) — 12, სამთომოთხილამურე გ. ტონი (იტალია) — 10.

# ბიჭუნები ჰოკეის თამაშობენ

ალექსანდრე მალცევი. ეს სახელი კარგადაა ცნობილი ჰოკეის მოყვარულთათვის. ვინ არ მოხიბლულა ამ ჰოკეისტის თამაშით.

მალცევმა თამაში დაიწყო კიროვო-ჩეპეცკში, ეზოს გუნდში, ხოლო პირველი შეჯიბრება იყო „ოქროს შაიბა“, ტურნირი, რომელიც ახლა ყველაზე მასობრივი შეჯიბრებაა ჰოკეიში. ასე „ოქროს შაიბა-75“ მოპოვებისთვის ქვეყნის მრავალი რაიონის მილიონობით ბიჭუნა ჩაებმება.

მეათედ გათამაშდება „ოქროს შაიბის“ პრიზები. თუ ადრე ბიჭუნები ორ ასაკობრივ ჯგუფში იბრძოდნენ (უმცროს და უფროს ასაკში), ახლა ასეთი ჯგუფი სამი იქნება (10-12, 13-14 და 15-16 წლის ბავშვები). ჯერ შედგება სკოლების, სახლმმართველობების, საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების, საბავშვო სახლების, სასწავლებლების პირველობები. შემდეგ ჩატარდება ტურნირები სკოლებსა და სახლმმართველობათა გუნდებს შორის — დასახლებების, რაიონების, ქალაქების პირველობაზე. შეჯიბრება დამთავრდება ნახევარფინალებითა და ფინალით.

ფინალები გაიმართება უფაში, ყაზანსა და ტომსკში. ამ ქალაქებმა უფლება მოიპოვეს ემასპინძლათ ტურნირებისთვის, ვინაიდან დიდი მუშაობა აქვთ ჩატარებული საბავშვო ჰოკეის განვითარებისთვის. ასევე კარგად მუშაობენ ჭაბუკ ჰოკეისტებთან სვერდლოვსკისა და ჩელიაბინსკის ოლქებში, ბალტიისპირეთში, გლაზოვში, კიროვო-ჩეპეცკში, სადაც აღიზარდა ნიჭიერი მეკარე ვ. მიშკინი — სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი.

ეზოს ჰოკეის გუნდებს ხელმძღვანელობენ საზოგადოებრივი მწვრთნელები. ჭაბუკ ჰოკეისტებზე შეფობენ სახელგანთქმული ოსტატები. აკე მაგალითად, გორკში „ტორპედოს“ გუნდის ყოველმა მოთამაშემ ეზოს გუნდებზე შეფობა აიღო. სხვათა შორის, „ტორპედოს“ გუნდი ჭაბუკ ჰოკეისტებს ამარაგებს ჰოკეის ფორმითაც. ამ ღონისძიებას ყოველმხრივ უნდა დაუჭირონ მხარი, რადგან „ოქროს შაიბის“ კლუბის ცენტრალურ შტაბს ბავშვთა ჰოკეის ფორმისა და დაცვითი აღჭურვილობის პრობლემა ძლიერ აწუხებს. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თხოვნით მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ დაიწყო „ოქროს შაიბის“ კლუბის წევრებისთვის ჰოკეის აღჭურვილობის ათვისება. მაგრამ სწორად იქცევიან მრავალ ოლქსა, მხარესა და მოკავშირე რესპუბლიკებში: არ დაელოდნენ ამ ნაწარმის გამოშვებას და ბავშვის სპორტული ინვენტარის წარმოებას ადგილებზევე მიაქციეს ყურადღება. „ოქროს შაიბა -75“-ის ტურნირი საიუბილეოა, მეათე. ამიტომ, ყოველმა პიონერულმა რაზმეულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციამ ყველაფერი უნდა გააკეთონ საიმისოდ, რომ ტურნირი იყოს ხალისიანი და ბავშვთა მასობრივი სპორტული ზეიმის იერი ჰქონდეს.

„ოქროს შაიბის“ ცენტრალური შტაბი დაინტერესებულია არა მარტო გამარჯვებულებით, საჭიროა, რაც შეიძლება მეტმა ბავშვმა აიღოს ჰოკეის ჯოხი, ეზოში ნახოს მეტი მეგობარი და ამ თამაშებში ხასიათი გაიკაჟოს. დაე, გაიზარდონ ისინი ძლიერები, მამაცები და მოხერხებულები.

ა. ნაუმოვი.
(საქდესის კორ.).

მოსკოვი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

**18 დეკემბერს**

ჰადრაკის სასახლეში (ლენინის ქ. № 87) გაიმართება კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაციის საანგარიშო პლენუმი. დასაწყისი 16 ს.

**20 დეკემბერს**

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის კულტურის სახლში (ჩოდრიშვილის ქ. № 8) ჩატარდება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს V პლენუმი.

დღის წესრიგი: 1. „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს II პლენუმის დადგენილების — „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის დანერგვისა და ნიშნოსანთა მომზადების მდგომარეობის შესახებ“ შესრულების მიმდინარეობა. 2. ინფორმაცია ცენტრალური საბჭოს IV პლენუმიდან V პლენუმამდე პრეზიდიუმის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

დასაწყისი 12 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02900